ინტერაქტიული მეთოდების დანერგვა საბაზო საფეხურზე

თამუნა ფესვიანიძე, სალომე კვატიძე,
გამიდა სადიკოვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების სკოლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა ფესვიანიძე

სალომე კვატიძე

გამიდა სადიკოვა

17.06.2023

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა ეხება ინტერაქტიული მეთოდების დანერგვას სსიპ თბილისის N175 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე, კერძოდ, ერთ-ერთ მე-7 კლასში. კვლევის მიზანია, მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება საგაკვეთილო პროცესში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით.

ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების ადმინისტრაციის სურვილია, მასწავლებლები აქტიურად ერთვებოდნენ თვითგანვითარების, სიახლეების ძიებისა და დანერგვის პროცესში, ამგვარი ინტერესის გამო, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში შეირჩა ქართული ენისა და დიტერატურის მასწავლებელი, რომელთან ერთადაც მეშვიდე კლასში მიმდინარეობდა ინტერაქტიული მიდგომების დანერგვაზე მუშაობა.

ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების რესურსებისა და მასწავლებლის საჭიროების მიხედვით, უნდა დაიგეგმოს ინტერაქტიული გაკვეთილები ისე, რომ გამოყენებული მეთოდები მასწავლებლისთვისაც კომფორტული და მისაღები იყოს. რადგან მოცემული პრაქტიკის კვლევა სკოლის ლიდერთა ინიციატივებს ეფუძვნება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შემუშავდა მოდელი, რომელიც სხვა მასწავლებლებსაც დაეხმარება და ამ კონკრეტულ მასწავლებელსაც გაუწევს მხარდაჭერას. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება ერთ-ერთი ცნობილი, რესურსეფექტური და შედეგიანი თანამშრომლობის ფორმაა, რომელიც კოლეგიალურობის ხარჯშე სწავლების შედეგებს ზრდის.

პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილმა ინტერვენციებმა პრაქტიკის კვლევის მიმართ მასწავლებლის პოზიტიური განწყობები გაზარდა, სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობა და სარგებელი გამოკვეთა. სკოლის ინიციატივა და ჩართულობა მასწავლებელს ააქტიურებს და სიახლეების ძიების მოტივაციას მატებს.

გაანალიზებული ინტერვენციების საფუძველზე გამოვკვეთეთ საბოლოო შედეგი და დავსახეთ რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც სკოლასა და კონკრეტულ მასწავლებელსაც დაეხმარება პრობლემის საბოლოოდ აღმოფხვრაში.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეთა ჩართულობა, ინტერაქტიული მეთოდები, თვითგანვითარება, სიახლეების ძიების მოტივაცია, სასკოლო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა.

Abstract

The research refers to the introduction of interactive methods at the basic level of the legal entity under public law N175 public school of Tbilisi, in particular, in one of the 7th grades. The aim of the research is to increase the involvement of students in the teaching process by using interactive methods.

It is the desire of the administration of the general educational institution that the teachers were actively involved in the process of self-development, searching for and implementing innovations, due to such interest, a teacher of georgian language and literature was selected as part of the practice research, with whom work on the introduction of interactive approaches was carried out in the seventh grade.

According to the resources of the public educational institution and the needs of the teacher, interactive lessons should be planned so that the methods used are comfortable and acceptable for the teacher as well. Because this practice study is based on the initiatives of school leaders, a model has been developed for a general education institution that will help other teachers and support this particular teacher. School-based teacher professional development is one of the well-known, resource-efficient and effective forms of cooperation, which increases the results of education through collegiality. Interventions planned to solve the problem increased positive attitudes of teachers towards practice research, highlighted the necessity and benefits of mutual cooperation with the school community in the teaching-learning process. The Initiative and involvement of the school activates the teacher and increases the motivation to search for new things.

Based on the analyzed interventions, we outlined the final result and made recommendations, the implementation of which will help the school and the teacher to finally eliminate the problem.

Key words: Involvement of students, interactive methods, self-development, motivation to search for news, mutual cooperation of the school community.

ცხრილები

ცხრილი N1 - ტრადიციული გაკვეთილისა და ინტერაქტიული გაკვეთილის განსხვავება- გვ. 18
ცხრილი N2 - მოსწავლის როლი ჯგუფში - გვ. 23
ცხრილი N3- ძირითადი/ჯიგსოუს ჯგუფები - გვ. 25
ცხრილი N4 - ექსპერტთა ჯგუფები - გვ. 25

აბრევიტურა

1. წუთი- წთ.
2. ასე შემდეგ - ა. შ.
3. ეროვნული სასწავლო გეგმა - ესგ
4. სხვა - სხვ.
5. მაგალითად - მაგ.
6. გვერდი - გვ.